

ილია-ევროპელი

19 დეკემბერს, 14:30 საათზე, ყვარელში კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი გახსნის ფოტოგამოფენას „ ილია ევროპელი“. გამოფენა გაიხსნება იუსტიციის სასაწავლო ცენტრში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ილიას არქივის იმ დოკუმენტების მიხედვით მომზადებული ფოტომასალა, რომლებიც დაკავშირებულია ევროპასთან. გამოფენის ფარგლებში ლექციას წაიკითხავს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიკოსი ნესტან ბაგაური.

ღონისძიება ასევე მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამას „ეკამათე ილიას“. აქტივობა განკუთვნილია საჯარო და კერძო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის და გულისხმობს ილიას ევროპასთან დაკავშირებული ნააზრევიდან მოხმობილი ციტატების საფუძველზე ჯგუფურ მუშაობას. საგანმანათლებლო აქტივობა, როგორც სასწავლო რესურსი, ელექტრონული სახით მიეწოდება ყვარლის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს. სკოლის პედაგოგებს საშუალება ეძლევათ საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენონ რესურსი საგაკვეთილო პროცესში, დაგეგმონ და წარმოადგინონ მოსწავლეთა ჯგუფური თუ ინდივიდუალური აქტივობა.

გამოფენა 19 დეკემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება.
ღონისძიება ეწყობა იუსტიციის სასაწავლო ცენტრის მხარდაჭერით.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე - 577 977 199; pr@manuscript.ac.ge - www.manuscript.ge
მის: თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა №1/3